

20829

ბ. ახვლედიანი

ა მ ს ტ ა

ჯანა 9

(თარგმანი და კომენტარი)*

1. (ჰაომის) წერვის ეამს (=დილით), როდესაც ზარათუშტრა ცეცხლს აკურთხებდა და ვითებს ვალობდა, მას მიუახლოვდა ჰაომა. მაშინ ჰკითხა მას ზარათუშტრამ: ვინ ხარ შენ, ვაეო, უღამაზესო, რომელიც დაგინახე ხორცშესხმულ არსებაში, საკუთარი მზიური უკნობი სიოცხლის მქონე.

2. მიპასუხა: მან, კემშარიტმა ჰაომამ, სიკვდილის ამშორებელმა: მე ვარ, ზარათუშტრა, კემშარიტი ჰაომა, სიკვდილის ამშორებელი; მე მაგრორე, გამომწერე სასმელად, მივალოზე და მაღიდენ, როგორც მაღიდებენ მსხნენი მომავლისა.

3. მაშინ თქვა ზარათუშტრამ: პატვისცემა ჰაომას! ვინ იყო ის პირველი ადამიანი, რომელმაც გამოგწერა შენ, ჰაომავ, ხორციელი ქვეყნისათვის; რა მაღლი მიენიჭა მას, რა ბედი ეწია მას?

4. მაშინ მიპასუხა მან, კემშარიტმა ჰაომამ, სიკვდილის ამშორებელმა: ვივაჭანტი იყო ის პირველი ადამიანი, რომელმაც გამოგწერა ხორციელი ქვეყნისათვის; ის მაღლი მიენიჭა მას, ის ბედი ეწია მას, რომ შეეჭინა ვაეიშეილი, იმა მზევე, ჯოგმარავალი, უბრწყინვალესი შობილთა, მხის მსგავსი ადამიანთა შორის, რომელმაც თავის მეფობაში უკვდავო ადამიანი და ცხოველი, უწროველ წყალი და მცენარე, უღვევლ საკმელი (და სასმელი)?

5. იმა ქველის მეფობაში არ იყო სიცივე, არცა სიხე, არ იყო სიბერე, არცა სიკვდილი, არც დაწვეთავან შექმნილი შური; ვითარცა თხუთშეტის წლისანი მიმოდლიდნენ მამა და შვილი, სანამ მეფობდა ჯოგმარავალი იმა ვივაჭანტის-ძე.

6. ვინ იყო ის მეორე ადამიანი, რომელმაც გამოგწერა შენ, ჰაომავ, ხორციელი ქვეყნისათვის; რა მაღლი მიენიჭა მას, რა ბედი ეწია მას?

7. მაშინ მიპასუხა მან, კემშარიტმა ჰაომამ, სიკვდილის ამშორებელმა: პთვიდა იყო ის მეორე ადამიანი, რომელმაც გამოგწერა ხორციელი ქვეყნისათვის; ის მაღლი მიენიჭა მას, ის ბედი ეწია მას, რომ შეეჭინა ვაეიშეილი, თრანტაონა, სახელოვანი გვარისა,

* იხ. „ქვენი შეცნობა“, № 2, 1924 წ.: „ირანის ლიტერატურა“, გვ. 97-102.

† აქ და ქვემოთ უნდა იყოს მოსაუბრის III პირი („უპასუხა“).

8. რომელმაც მოკლა გველეშაბი დაჰკიო¹, სამხახა, სამთავა, ექვსთვალა, ათასხერხიანი, უძლიერესი ეშმაკეული ურჩხული, საძაგელი, მაძღუნებელი ქვეყნისა. ეს უძლიერესი ურჩხული შექმნა ავმა სულმა ხორციელი ქვეყნის წინაღმდეგ, მართალთა ქვეყნის დასალუბიად.

9. ვინ იყო ის მესამე აღამიანი, რომელმაც გამოგწერა შენ, ჰაომავე, ხორციელი ქვეყნისათვის, რა ზადლი მიენიჭა მას, რა ბედღ ეწია მას?

10. მაშინ მიპასუბა მან, ჰემმარიტმა ჰაომავე, სიყდილის: ამშორებელმა: თრითა იყო სანმა გვირისა ის უძლიერესი მესამე აღამიანი, რომელმაც გამოგწერა ხორციელი ქვეყნისათვის; ის ზადლი მიენიჭა მას, ის ბედღ ეწია მას, რომ შეეძინა ორი ვაჟი — ურჯახშია და კურჯახშია: პირველი — სარწმუნოების მასწავლებელი და კანონმდებელი, მეორე — უშლაერესი, კერათხის მიტარებელი, თმანუქუჟა კაბუჯი,

11. რომელმაც მოკლა რქიანი გველეშაბი, ცხენისა და აღამიანის შთანთქმელი, მხაძიანი, ყვითელი, რომელზედაც დიოდა შუბის სიზღლე ყვითელი მხაძი, რომელზედაც კურჯახშია ქვაბში ხარნავედა საქმელს სადილისათვის; დასცხა ურჩხულს და გაოჟლიინდა; გაუბტა იგი ქვაბს და დაღეირა მღუღარე წყალი. გვერდზე გადაბტა შეინიგბული მამაცი კურჯახშია.

12. ვინ იყო ის მეოთხე აღამიანი, რომელმაც გამოგწერა შენ, ჰაომავე, ხორციელი ქვეყნისათვის; რა ზადლო მიენიჭა მას, რა ბედღ ეწია მას?

13. მაშინ მიპასუბა მან, ჰემმარიტმა ჰაომავე, სიყდილის ამშორებელმა: პორურეშასა იყო ის მეოთხე აღამიანი, რომელმაც გამოგწერა ხორციელი ქვეყნისათვის; ის ზადლი მიენიჭა მას, ის ბედღ ეწია მას, რომ შეეძინე შენ, ზარათუშტრაჲ, პორურეშასას სახლიდან.

14. განთქმული ხარ, ზარათუშტრაჲ, არიანა ვაეჯამი მით, რომ პირველმა წარმოსტქი ლოკვა აჟენა-ვარნა („უჟალო მშენიერო“) ოთხჯერ პაუბების დაცით, ბოლოს ხმის გაძლიერებით.

15. შენ, ზარათუშტრაჲ, ჩააძვრინე მიწაში ყველა დაგვი, რომელნიც წინათ აღამიანის სახით დაძრწოდნენ დედანიწახე; შენ, რომელიც შეიქმენ უშლაერესი, უმტიციესი, უმზნებარესი, უსწრაფესი, სიპართლით უძლევაშისიღესი ორივე სულისა.

16. მაშინ თქვა ზარათუშტრამ: „პატივისცემა ჰაომავე! ყთილია ჰაომა, ყთილაღმწილი, მშენიერია ჰაომა; ყთილია, ბრძენია, მკურნალია, ყთილსახირი, ყთილმოქმედი, ყვითელი ფერისა და მოქნილტოტანიია იგი; როცა მის სეაჟენ, საუცხოოა და სული ამმ:ღლებელი.

17. ოჰ, ოქროსფერო, შენგან ვითხოვ მათრობელ სასმელს, სიძლიერესა და ძლევაშისიღებას, ჯანსალობასა და განკურნებას, წარმატებასა და წრდას, ლანეს მთელი სხეულისას, ყოველგვარ სიბრძნეს, რათა ვიარებოდე ქვეყნად თივისფლად, მტრობის მძლედ და ღრუგის (სიცრუის) დამმარცხებლად;

18. რათა ვამარცხებდე მჯერათა სიძლეილს, დაეცეთა და იღამიანთა, ჯადოქართა და კედლიანთა, მოძალადეთა, მძეინვარე თივადთა და მღედლეთა, ორ-

¹ იხმარება მხოლოდ კომპოზიტიში აჟენ-დახინენ „ავალი დანკა“.



ყუბა ბოროტმოქმედთა და ორფუბა ერეტეოსთა, ოთხფუბა შგელთა და ფარ-
თოფრონტიან ჯართა, მაცდურთა, გაფანტულთა (?)

19. ამ პირველ წყალობას გვეუდრებთ, სიკვდილის ამწორებელი ჰარმავ: გ-რწმუნეთათვის ნეტარების მიწნიჭებელ ნათელ სამოთხეს; ამ მეორე წყალო-
ბას გვეუდრებთ, სიკვდილის ამწორებელი ჰარმავ: ჯანსალობას ამ სხეულისას; ამ მესამე წყალობას გვეუდრებთ, სიკვდილის ამწორებელი ჰარმავ: სასიცოცხ-
ლო ძალის ხანგრძლიობას;

20. ამ მეოთხე წყალობას გვეუდრებთ, სიკვდილის ამწორებელი ჰარმავ: რათა შემძლე, მარჯველ და კმაყოფილად დაეიარებოდე მე მიწაზე, მტრობის მძლე, დრუგის დამორგუნველად; ამ მეხუთე წყალობას გვეუდრებთ, სიკვდი-
ლის ამწორებელი ჰარმავ: რათა ძლევაშოსილი, ბრძოლაშოგებული დაეიარე-
ბოდე მიწაზე, მტრობის მძლე და დრუგის დამორგუნველად;

21. ამ შეექვსე წყალობას გვეუდრებთ, სიკვდილის ამწორებელი ჰარმავ: ადრე ვიმჩვედეთ ქურდს, ყაჩაღს და მგელს; ევრაეინ ვაჰმჩნედეს ჩვენ ადრე, ყველა შევაშჩნიოთ ჩვენ მათზე ადრე.

22. ჰარმა ანიჭებს ზით ძალასა და სიმტკიცეს, ვინც დოლის ცხენივით მი-
ილტვის საბრძოლველად; ჰარმა ანიჭებს მშობიარეთ ბრწყინვალე შვილიერობას და მორწმუნე შთამომავლობას; ჰარმა ანიჭებს სიბრძნესა და მცოდნეობას იმით, ვინც ბეჯითად სწავლობს საღვთო წიგნებს.

23. ჰარმა ანიჭებს ქმარსა და მზრუნველს იმ ქალებს, ვინც დიდხანს უქმ-
როდ ისხდნენ, ყველ ამისთვის ლოცვი მზოლოდებულ იქნება იგი განიერი.

24. ჰარმამ დატოვა იგი დრუგის უსაქუთოდ; იგი დაღაღებდა უფლობის მწლოში და აწობდა: არ შოვიდეს ანიერიდან ჩემა ქვეყანაში ქურუში თავის შო-
ბნრეთა გასამარავებლად. იგი აბრკოლებს ყოველ წარმატებას, იგი სპობს ყო-
ველგვარ ზრდას.

25. დიდება შენ, ჰარმავ, რომელიც უფლობს საყუთარი ძალით; დიდება შენ, რომელმაც უწყვი ყოველი კემარტი სიტყვა' დიდება შენ, რომელსაც არ გპირდება ნამდვილ სიტყვათა გამოკითხვა.

26. მაზღამჰა გიბოჰა შენ უწინარესი ვარსკვლავსმული სფლების ნახელაიცი სარტყელი—მანდაჰასნური რელიგია—და ის გატყია შენ მთის მწვერვალზე' საღვთო სიტყვის საფირველი და დასყრდენი.

27. ოჰ, ჰარმავ, უფალო სახლისა, უფალო სოფლისა, თემისა, ქვეყნისა. უფალო სიბრძნისა და მცოდნეობისა, მოვიწოდებ ჩემი ძლიერებისა და გამარ-
ჯვებისათვის, ბერამძკამელის გაძლოძისათვის.

28. მოგვაშორე ჩვენ მტერთა სიმტლევილი, რისხვა მშენებარეთა; ყოველ ბოროტმოქმედ აღამიანს, რომელიც კი არის ამ სახლში, ამ სოფელში, ამ თემ-
ში, ამ ქვეყანაში, წართვი ფებთა ძალა, დაუცე ყურები, დაუბნიე გონება.

29. ვერ დადიოდეს ფებებით, ვერ მოქმედებდეს ხელებით, ვერ დაინახოს თვალებით მიწა, ვერ დაინახოს თვალებით ძროხა მან, ვინც ბოროტობს ჩვენი სულისათვის, ვინც ბოროტობს ჩვენი სხეულისათვის.

30. ყვითელი გველის ტანს, მზამის მურქვეულისას, ჩაეც მზხილი, ოქროს-
ფერი ჰარმავ, (მის შიგნ) დასალუჰავედ განწირული მორწმუნის სამველად. ტანს

მომავლებული ყაჩაღისას, მოსისხლისას, განძინებულისას ჩაეც მახვილი, ოქროსფერო ჰაომავე, (მის მიერ) დასალუკავიდ განწირული მორწმუნის საშველად.

31. ღრუვის მიმდევრის ტანს, მოძალადისას, რომელიც თავს მალდა სწევს, ჩაეც მახვილი, ოქროსფერო ჰაომავე, (მის მიერ) დასალუკავიდ განწირული მორწმუნისათვის. კვემარტების უარყოფის ტანს, უღმერთოისას, სიცოცხლის მომსპობისას და ისეთისას, რომელსაც გონებაში აქვს რელიგიის სიტყვები, მაგრამ საქმით არ მისდევს მას, ჩაეც მახვილი, ოქროსფერო ჰაომავე, (მის მიერ) დასალუკავიდ განწირული მორწმუნისათვის.

32. ჯადოსანი ქალის ტანს, მეგრუმისას, რომელიც თავის წიფს საავხორცილ ავებებს, რომლის გონება ბარბაცებს ქარის მიერ გაბნეული ღრუბელივით, ჩაეც მახვილი, ოქროსფერო ჰაომავე, (მის მიერ) დასალუკავიდ განწირული მორწმუნისათვის; მის სხეულს ჩაეც მახვილი დასალუკავიდ განწირული მორწმუნის საშველად.

4—8 მუხლების შენაარსთან გარკვეულ კვირშია ქართული ზღაპარი „თრიანთი“².

ავესტის ინიპ მუეუ (= ინიპ ხმანტა) იგივე ჩვენი ზღაპრის ჯემშიდია, ავესტის თრაეტონან—იგივე ქართული თრიანთი, ხოლო ავესტის აე(ი) დაპკი—ქართული აჯეპაკი (აჯეხაკი) (გლ>ჯ). ქართული შაქნაპეს ზაქ წარმოადგენს დაპკი-ის ირანბაზირებულ ფორმას (Dahhāk; იხ. F. Justi, Iranisches Namenbuch, 1895, გვ. 60; აგრეთვე Bartholomae, Altiran. Wörterbuch, 1904).

ეს საპი ირანული საკეთარი სახელის ურთიერთშესატყვისობა და ქრონოლოგიური ურთიერთობა ქართული ზღაპრის მოქმედ პირთა სახელწოდებებთან ასე წარმოვედგება:

ავესტის	ფალურის	ხალ. ქარ.	მალი სპარსული	ლიტ. ქართ.
ინიპ(ა) ხმანტ(ა)	ჯამშეთ	(ჯემშიდ)	ჯამშედ	ჯემშიდ
„ინიპ მუეუ“				
თრაეტონან(ა)	ჭრეთუნ	თრიანთი	აჭრედუნ ჭარედუნ ჭერედუნ	აჭრილიონ ¹
აე(ი)დაპკი(ი)	აელაპკ	აჯეპაკი	აელაპკ Dahhāk	ზაქი
იგიველი დაპკი ²		(აჯეხაკი) „ურჩხელი“ (ირანბიხ.)		

აქედან ჩანს, რომ ქართულ „თრიანთის“ ძირითადი სიუჟეტი და, ყოველ შემთხვევაში, სახელი თრიანთი მომდინარეობს ძველი ირანული ლეგენდიდან (და არა შანაშელდან), რაც სწორად იქვე შენიშნული აქვს. კ. კველიძის და სხვა გზით დასაბუთებული დოც. ს. ყუბანიეშვილის.

¹ იხ. კ. კველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 87; აგრეთვე დოც. ს. ყუბანიეშვილის მოხსენება (1942 წ. 27 იანვარი) „ლიტერატურული და ხალხური ზაქიანის“ ურთიერთობა.